

საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

სახოგალოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები და საერთაშორისო
პრაქტიკის მიმოხილვა

ივლისი, 2007 წელი

1.1. ფოკუს ჯგუფების ანალიზი¹

2007 წლის ივლისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ ფინანსური მხარდაჭერით გურჯაანში ჩატარა ფოკუს ჯგუფი საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და გურჯაანის რეგიონის ძალოვანი სტრუქტურების, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რეგიონალური ორგანოს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები:

კანონპროექტის ძირითადი დადებითი მხარეები

შეხვედრების მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს კანონპროექტის ძირითადი მიზანი, აღმოიფხვრას ის ვაკუუმი, რომელიც წარმოიშვა „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ. მოქმედი კანონმდებლობით, დღემდე დაურეგულირებელი

¹ ფოკუს ჯგუფების ანგარიში ასახავს მხოლოდ მონაწილეთა შეხედულებებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და „შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს“ მოსაზრებებს.

რჩებოდა თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და განკარგვის საკითხები.

პოზიტიურად შეფასდა ასევე:

(ა) კანონპროექტით გათვალისწინებული ნოვაცია, ჩამოყალიბდეს ერთიანი წესი, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების, ისე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებასა და განკარგვასთან დაკავშირებით.

ბ) იმ ქონების დეტალური ნუსხის განსაზღვრა, რომლის პრივატიზებაც განხილული კანონის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

გ) იმ ქონების დაკონკრეტება, რომლის განკარგვაც ხორციელდება არა ამ კანონის, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

დ) კანონპროექტით შემოთავაზებული სიახლე, განისაზღვროს სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლების გაცემის განმახორციელებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებები.

ე) პროექტის ამოქმედებით სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პრივატიზების პროცესების დაჩქარების ხელშეწყობა; რეალურად პროგნოზირებადი ფერმერული მეურნეობის განვითარება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების მომრავლება; ახალი კულტურების აპრობაცია და ტყის მასივების იჯარით გაცემის შემთხვევაში სატყეო მეურნეობის განვითარება.

ვ) პროექტის ამოქმედებით შექმნილი შესაძლებლობა, ორმხრივი შეთანხმების შედეგად, რეალურად მოხდეს საპრივატიზებო ობიექტებზე ფასების დაწვევა, რაც საგრძნობლად შეამცირებს მრავალგზის ვერგაყიდული საპრივატიზებო ქონების სიას.

კანონპროექტის შესახებ ბამოთქმული შენიშვნები

დადებით მხარეებთან ერთად, ფოკუს ჯგუფებზე საუბარი იყო კანონპროექტის ნაკლოვანებებზეც. მონაწილეები უკმაყოფილებას, ძირითადად, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში გამოთქვამდნენ:

კანონპროექტის არსი

შეხვედრაზე, ზოგადად კანონპროექტის არსზე მსჯელობისას, მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პროექტი რენეგატულ ხასიათს ატარებს. ამის უმთავრეს მიზეზად ის დაასახელეს, რომ კანონპროექტი ადგილობრივ მოსახლეობას არ აძლევს პრივატიზების პროცესის ერთ-ერთ მხარედ გამოსვლის საშუალებას – საშუალო ფენა მოკლებულია ფინანსურ შესაძლებლობას, რომ პრივატიზების პროცესებში იყოს კონკურენტუნარიანი მონაწილე, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდილ მიგრაციას და ურბანიზაციას უწყობს ხელს. დისკუსიის მონაწილეთა აზრით, პროექტი აქცენტს აკეთებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე და ნაკლებად არის გათვლილი ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესების ხელშეწყობაზე.

თვითმმართველი ერთეულის როლი პრივატიზების პროცესში

შეხვედრაზე ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ კანონპროექტის ამოქმედება შეაფერხებს დამოუკიდებელი და ეკონომიკურად ძლიერი თვითმმართველი ერთეულის ჩამოყალიბებას, რადგან მასში შემცირებულია საკრებულოს როლი და ფუნქციები პრივატიზების პროცესში.

ახალი პროექტის თანახმად, საკრებულოს ეზღუდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილება ფლობდეს და განკარგავდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებას. ამასთან, კანონპროექტი არსად მიუთითებს იმ აუცილებლობაზე, რომ თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს, გამგეობას, გააჩნდეს რაიმე პირდაპირი ვალდებულება საკრებულოს წინაშე, პრივატიზების პროცესში მიმდინარე მოვლენების გაკონტროლების ან მონიტორინგის თვალსაზრისით.

მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ადგილობრივ დონეზე პრივატიზების პროცესის მხარედ უნდა გამოდიოდეს საკრებულო, ხოლო აღმასრულებელ ორგანოს უნდა ეკისრებოდეს პროცესის მედიატორის, ტექნიკური უზრუნველყოფის ფუნქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში საკრებულოს მიერ გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული კომპლექსური პროგრამების შექმნა და განხორციელება პრაქტიკულად აზრს დაკარგავს, რადგან საკრებულო ვეღარ შექმნის კლიმატს ადგილობრივ დონეზე საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის.

უკმაყოფილება გამოითქვა იმ ფაქტთან დაკავშირებითაც, რომ პროექტის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება სახელმწიფოს სახელით უნდა განხორციელოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და არა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. როგორც შეხვედრის მონაწილეებმა თქვეს, ეს ცვლილება გამოწვეულ იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღებით. ამ კანონით გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ის ორგანოები, რომელთა კომპეტენციაშიც შედიოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების (გარდა „სახელმწიფო პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ქონებაზე არსებული წესით მიმაგრებული დამაგრებული მიწის ნაკვეთებისა) განკარგვა.

საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

დისკუსიის დროს ყველაზე მეტი შენიშვნა გამოითქვა იმ სახელმწიფო ქონების ჩამონათვალის ახლებური წესით განსაზღვრასთან მიმართებაში, რომლის პრივატიზებაც არ შეიძლება. კერძოდ, საუბარი იყო სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების იმ ნაწილზე, რომელიც ახალ კანონპროექტში დაცულ ობიექტთა სიაში ვერ მოხვდა.

მოქმედი კანონდებლობა გასხვისებისაგან იცავს ისეთ სტრატეგიულ დანიშნულების ობიექტებს, როგორცაა რკინიგზა და წყალმომარაგების სისტემები, კომუნიკაციის საშუალებები და ენერგორესურსები. პროექტში ეს ობიექტები ჩამონათვალიდან ამოღებულია.

მონაწილეთა აზრით, სასაფლაოები, წყალმომარაგების სისტემების, ენერგომომარაგების სისტემების და რკინიგზის (ლიანდაგით და სხვა ინფრასტრუქტურით) გაყიდვა მიუღებელი და გაუპართლებელია. როგორც მათ თქვეს, პროექტით შემოთავაზებული

ცვლილებების ამოქმედების შედეგად სოფლებში და მუნიციპალურ ქალაქებში სასაფლაოების პრივატიზება, საგარაუდოდ, გამოიწვევს ახალი გადასახადების გაჩენას, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ გადაიხდის. შედეგად შეიძლება, გაუქმდეს და დაიკარგოს იმ ადამიანთა საფლავები, რომელთა გადასახადსაც მათი პატრონი ვერ გადაიხდის.

რაც შეეხება რკინიგზას, მონაწილეები მას განიხილავენ სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ობიექტად და საქართველოს ჯარის განვითარების ფონზე, მისი გაყიდვა დაუშვებლად მიაჩნიათ.

კანონპროექტში აღარ ფიგურირებს სხვა მნიშვნელოვანი ობიექტებიც, მათ შორის: სახელმწიფო რეზერვის სისტემაში არსებული ობიექტების სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი, საწარმოები, რომლებიც ამზადებენ რადიოაქტიურ და სამხედრო დანიშნულების მასალებს, მათი საცდელ-საკონსტრუქტურო და სამეცნიერო დაწესებულებების ქონება და სხვა. მონაწილეთა აზრით, მსგავსი სტრატეგიული ობიექტების გასხვისება არათუ ხელს შეუწყობს ეკონომიკური განვითარების ზრდას ქვეყანაში, არამედ გამოიწვევს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის დაქვეითებასა და შემდგომში ასეთი ობიექტების შემქმნების მხრიდან ხელისუფლებაზე ზეწოლისა და მანიპულირების განხორციელების მცდელობას.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებითაც, რომ აუცილებელია, პარლამენტის ინიციატივით, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც იმსჯელებს აღნიშნულ პრობლემატიკაზე და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, დახვეწს პრივატიზებას არდაქვემდებარებული ქონების ჩამონათვალს.

დამატებით ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ პროექტს თანდართული განმარტებითი ბარათი აბსოლუტურად არ ასახულებს ასეთი მასშტაბური ცვლილებების არსს და რომ მას არ ახლავს შესაბამისი არგუმენტაცია მათ გასამყარებლად.

პრივატიზების ფორმები

შეხვედრის მონაწილეთა საერთო უკმაყოფილება გამოიწვია კანონპროექტით შემოთავაზებულმა სიახლემ, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ფორმებს.

მონაწილეთა აზრით, სრულიად გაუგებრად ხდება მოქმედი კანონმდებლობიდან სახელმწიფო ქონების კონკურსისა და იჯარა-გამოსყიდვის პრივატიზების ფორმების ამოღება.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კონკურსის ფორმით გაყიდვის მიზანს წარმოადგენდა მყიდველის მიერ გამყიდველისათვის საუკეთესო პირობების შეთავაზება, რისი გაუქმებაც გაუგებარია. რაც შეეხება იჯარა-გამოსყიდვის ფორმას, გამოსყიდვამდე სახელმწიფოს რჩებოდა ქონებაზე გარკვეული სარგებლობის უფლებები, რაც ახალი პროექტით, არგუმენტაციის გარეშე, ასევე გაუქმებულია.

მონაწილეები თვლიან, რომ პროექტის ავტორებმა გათვლები მხოლოდ პრეზიდენტის არჩევანსა (რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ) და აუქციონის ფორმაზე იმის გამო შეაჩერეს, რომ, ერთის მხრივ, გადაწყვეტილების მიღება ქვეყნის პირველი პირის ხელში იყოს, ხოლო, მეორეს მხრივ, უპირატესობა მიენიჭოს მხოლოდ იმას, ვინც აუქციონში მეტ ფულს გადაიხდის. პრივატიზების

განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორი „უკეთესი პირობები“ კი ხელისუფლების ინტერესების სფეროში არ მოხვდა.

მონაწილეთა აზრით, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტი არ უნდა იღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ, მას ასევე არ უნდა ჰქონდეს უფლება, ერთპიროვნულად უგულვებელყოს პრივატიზების პროცესში მონაწილე დაინტერესული პირისათვის პროექტით გაწერილი სავალდებულო ხასიათის ნორმები. კანონპროექტის თანახმად, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში, ინტერესთა გამოხატვის ვადის დასრულებამდე, დაინტერესებულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ან შესაბამის დეპოზიტზე განათავსოს საპრივატიზებო ქონების ღირებულების 5%. პრეზიდენტი, პროექტის თანახმად, უფლებამოსილია გვერდი აუაროს იმპერატიულ ნორმას და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული დონისძიებების გარეშე.

მონაწილეები მხარს არ უჭერენ პრეზიდენტის მხრიდან გარკვეულ პირთათვის მსგავსი გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობას. როგორც მათ აღნიშნეს, აუცილებელია, რომ პრივატიზების პროცესში საქართველოს მთავრობას და კონტროლის პალატასაც ჰქონდეთ გადანაწილებული მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციები.

საინფორმაციო საშუალებების როლი ქონების პრივატიზების პროცესში

კანონპროექტის თანახმად, კონკურენტული შერჩევის მიზნით ქონების პირდაპირი მიყიდვისათვის, საქართველოს მთავრობა ქონების და შესაბამისი პირობების შესახებ გადაწყვეტილებას აქვეყნებს საერთო სახელმწიფოებრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში და განსაზღვრავს ინტერესთა გამოხატვის ვადას, რომელიც როგორც წესი, არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.

შეხვედრის მონაწილეებმა ეს პუნქტი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, თუმცა აღნიშნეს, რომ პროექტში ბუნდოვნად არის განსაზღვრული იმ საინფორმაციო საშუალებების სახეები, რომლებიც უნდა იყვნენ ჩაბმულნი პრივატიზაციის პროცესში.

მონაწილეთა აზრით, პროექტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ის მოთხოვნები (მინიმალური ტირაჟი, პერიოდულობა, დაფარვა და სხვ.), რომელთაც უნდა აკმაყოფილებდნენ ის ტელე-რადიო კომპანიები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც გაავრცელებენ ინფორმაციას საპრივატიზებო ობიექტების შესახებ.

კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ზოგადად, შეხვედრის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ კანონპროექტის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ მხოლოდ სამთავრობო დაწესებულებები და მათი ექსპერტები და ხელისუფლებას არ გაუმართავს შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დამოუკიდებელ ექსპერტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

12. საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში

ანალიზში მიმოხილულია ბალტიისპირეთის ქვეყნების, კერზოდ, ლატვიისა და ლიტვის პრაქტიკა და ასევე პოლონეთის, ევროგაერთიანების ახალი წევრი ქვეყნის საკმაოდ წარმატებული პრივატიზაციის მოდელი.

ლატვიაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესს არეგულირებს ორი კანონი: პირველი კანონი მიღებულ იქნა ლატვიის სეიმის მიერ 1994 წელს - კანონი “სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის შესახებ”; მეორე კანონი, რომელმაც კორექტივები შეიტანა მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში და დაარეგულირა ე.წ. საპრივატიზაციო ვაუჩერების გამოყენების საკითხი, კანონი “სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის დასრულებისა და საპრივატიზაციო ვაუჩერების გამოყენების შესახებ”, მიღებულ იქნა 2005 წლის 16 ივნისს ლატვიის სეიმის მიერ.

აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით, ლატვიაში პრივატიზაციის პროცესს წარმართავს ლატვიის პრივატიზაციის სააგენტო, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სააქციო საზოგადოებაა. პრივატიზაციის სააგენტოს საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ლატვიის მინისტრთა კაბინეტის მიერ დანიშნული სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც, თავის მხრივ, შედგება სეიმის პოლიტიკური ფრაქციების მიერ შერჩეული წარმომადგენლისაგან (თითო ფრაქცია ასახელებს თითო წევრს). პრივატიზაციის მართვის პროცესში მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს ლატვიის ეკონომიკის სამინისტროც. სამინისტრო (მინისტრი ან მისი წარმომადგენელი) უშუალოდ თავმჯდომარეობს პრივატიზაციის სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. ამავე დროს, სააგენტოს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას რეკომენდაციას, მინისტრთა კაბინეტთან დასამტკიცებლად, ეკონომიკის სამინისტრო უწევს. ამგვარად, ლატვიის პრივატიზაციის პროცესის ძირითადი წარმმართველი ინსტიტუტებია: პრივატიზაციის სააგენტო, ეკონომიკის სამინისტრო და მინისტრთა კაბინეტი.

მუნიციპალურ დონეზე პრივატიზაციას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები. “სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის შესახებ” კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილია პრივატიზაციის პროცესის წარმართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები: ქალაქის საბჭო, ოლქის თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტი.

ლატვიის “სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის შესახებ” კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, აკრძალულია იმ სახელმწიფო ქონების პრივატიზება, რომელიც ჩამოერთვა ძველ მეპატრონეს, თუ ამ მეპატრონის მიერ წამოწყებულ იქნა სასარჩელო დავა აღნიშნული ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია ლატვიის “სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის დასრულებისა და საპრივატიზაციო ვაუჩერების გამოყენების შესახებ” კანონის მე-17 მუხლი, სადაც მოცემულია იმ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების ჩამონათვალი, რომელთა პრივატიზაციას კანონი კრძალავს. ასეთი სააქციო საზოგადოებებია:

სს “ლატვენერგო”, რომელიც წარმოადგენს ლატვიის უდიდეს სახელმწიფო ენერჯო ჯგუფს. სააქციო საზოგადოების ძირითადი ფუნქციებია: ელექტროენერჯის გენერაცია,

თერმული ენერჯის წარმოება და ვაჭრობა, ელექტროენერჯის დისტრიბუცია. ელექტროენერჯის მიწოდებასაც “ლატვიენერჯოს” დაქვემდებარებაში მყოფი კომპანია ახროციელებს.

სს “ლატვიის ფოსტა”, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სააქციო საზოგადოებაა და რომლის ძირითადი ფუნქცია საფოსტო კომუნიკაციები და მომსახურებაა.

სს “რიგის საერთაშორისო აეროპორტი”, ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სააქციო საზოგადოება.

სს “ლატვიის რკინიგზა”, რომელიც ქვეყნის უდიდესი კომპანიაა 13 000 თანამშრომლით. ეს სააქციო საზოგადოება ასევე არის უდიდესი გადამხდელი საშემოსავლო გადასახადების კუთხით. შედგება 7 შვილობილი კომპანიისაგან და მოიცავს ქვეყნის მთელ სარკინიგზო ქსელს.

სს, „ლატვიის საჰაერო ნავიგაცია“, რომელიც ახდენს ლატვიის საჰაერო ნავიგაციის ადმინისტრირებას.

სს, რომლის საკუთრებაშია სახელმწიფო ტყეები და ნაკრძალები და რომელიც განკარგავს მათ.

ამგვარად, ლატვიის სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს და კრძალავს მათ გასხვისებას.

ლიტვაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან მიმართებაში გაცილებით ლიბერალური მიდგომაა. აქ პრივატიზაციის პროცესი ჯერ კიდევ 1991 წლის სექტემბრიდან დაიწყო. მთლიანი პრივატიზაცია შეიძლება სამ ძირითად საფეხურად დაიყოს:

პირველ ეტაპზე, რომელიც 1991-დან 1995-მდე გრძელდებოდა, მოხდა ე.წ. მასობრივი პრივატიზაცია ვაუჩერებით. ვაუჩერული მეთოდი იქნა არჩეული, როგორც ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების კერძო საკუთრებაში გადასაცემად. ამ პერიოდში მოქმედებდა ლიტვის კანონი “სახელმწიფო საკუთრების პირველადი პრივატიზაციის შესახებ”.

ლიტვის პრივატიზაციის მეორე საფეხური 1995 წლის ივლისსში დაიწყო “სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის შესახებ კანონის“ ამ კანონმა დაარეგულირა სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის საკითხი. აღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიქმნა პრივატიზაციის სააგენტო და სახელმწიფო პრივატიზაციის კომისია, რომელთაც დაევადათ პრივატიზაციის პროცესის ადმინისტრირება. ახალი კანონის საფუძველზე, ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები თანაბარი პირობებით მონაწილეობდნენ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაში, თუმცა პრივატიზაციის პროცესში ჩართული იყო რამდენიმე სამინისტრო, ბევრი იყო ბიუროკრატიული პრობლემა და საბოლოო ჯამში, ინვესტიციების დიდი რაოდენობით მოზიდვა ვერ მოხერხდა.

ლიტვის პრივატიზაციის პროცესის ახალი საფეხური ახალი კანონის მიღებით დაიწყო. 1997 წლის ნოემბერში ლიტვის პარლამენტმა მიიღო კანონი “პრივატიზაციისა და სახელმწიფო ქონების ფონდის შესახებ”, რომლითაც მოხდა ლიტვის პრივატიზაციის

სააგენტოს რესტრუქტურისაცია და სპეციალური სახელმწიფო ქონების ფონდის შექმნა. სახელმწიფო ქონების ახლადშექმნილი ფონდი წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს სახელმწიფოს ქონების პრივატიზაციის სფეროში. იგივე ფონდის მიერ ხდება მუნიციპალური ქონების პრივატიზაცია.

ზემოთ აღნიშნული რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ბიუროკრატიული მექანიზმის მაქსიმალურად გამარტივება. მთელი რიგი სამინისტროები, თავიანთი ინტერესების დაცვის მიზნით, სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მათ ბალანსზე არსებული სახელმწიფო ქონება. ახალმა კანონმა, ძველი სისტემის რევიზიით და სახელმწიფო ფონდის შექმნით, გაცილებით გაადვილა პრივატიზაციის პროცესი.

გატარებული რეფორმისა და საკმაოდ ლიბერალური პრივატიზაციის პოლიტიკის შედეგად, 1998-1999 წლებში ლიტვამ გაასხვისა მის საკუთრებაში არსებული შპს “ლიტვის ტელეკომი” სახელმწიფო კავშირგაბმულობის კომპანია, რომელიც შეისყიდა შვედურ-ფინურმა კონსორციუმმა “ამბერ ტელეკომლინგმა”. ენერგეტიკის სექტორში ასევე მოხდა სახელმწიფო ნავთობგადამამუშავებელი კომპანიის პრივატიზაცია. ლიტვის მთავრობამ ასევე გაასხვისა ორი სახელმწიფო ავიაკომპანია “ლიტვის ავიახაზები” და “ლიტვის ავიაკომპანია” (მოგვიანებით “ლიტვის ავიაკომპანია” გაერთიანდა “ლიტვის ავიახაზების” ქვეშ). 2005 წელს “ლიტვის ავიახაზები” შეისყიდა ლიტვის კერძო კომპანიების კონსორციუმმა, "LAL Investiciju Valdymas"-მა.

ამგვარად, დღეს არსებული მოდელის მიხედვით, ლიტვაში სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციაში მონაწილეობს შემდეგი სახელმწიფო დაწესებულებები:

1. სახელმწიფო ქონების ფონდი, რომლსაც ძირითადადში კოორდინატორის ფუნქცია აკისრია. ის ამზადებს სახელმწიფო ქონების საპრივატიზაციო ნუსხას და აგვარებს გასხვისების პროცესის ტექნიკურ მხარეებს;
2. საპრივატიზაციო კომისია, რომელიც უშუალოდ წარმართავს და აკონტროლებს პრივატიზაციის პროცესს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას;
3. სპეციალური სახელმწიფო სატენდერო კომისიები, რომლებიც წარმართავენ საერთაშორისო ტენდერებს ენერგეტიკის, ტრასპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროებში. აღნიშნული კომისიები, მთავრობის ერთიან პოლიტიკაზე დაყრდნობით და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, თვითონ განსაზღვრავენ კრიტერიუმებს საპრივატიზაციო პროგრამების შედგენისას.

საყურადღებოა ლიტვის პრივატიზაციის პოლიტიკა და ძირითადი საპრივატიზაციო კურსი, რომელიც განსაზღვრულია ლიტვის სეიმის მიერ 2002 წლის 12 ნოემბერს მიღებულ “ქვეყნის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში”. აღნიშნულ სტრატეგიაში პრიორიტეტად გამოცხადებულია ენერგო და სატრანსპორტო სექტორების პრივატიზაცია. ასევე, გათვალისწინებულია ბუნებრივი გაზის გადამცემი და სადისტრიბუციო ობიექტების, და ნავთობგადამამუშავებელი სექტორის პრივატიზაციის პროცესების გაგრძელება საერთაშორისო კაპიტალის მაქსიმალურად მოზიდვის მიზნით.

რაც შეეხება პოლონეთს, მას პრივატიზაციის კიდევ უფრო ლიბერალური და გამარტივებული მოდელი აქვს. სახელმწიფო ქონების გასხვისების პროცესი რეგულირდება პოლონეთის კომერციული კომპანიების კოდექსითა და 1996 წლის “კომერციალიზაციისა და პრივატიზაციის შესახებ აქტით”. პრივატიზაციას პოლონეთში ცენტრალიზებულად ახორციელებს სამინისტროს ფორმით ჩამოყალიბებული სახელმწიფო ხაზინა, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრი. კომერციალიზაციისა და პრივატიზაციის აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ხაზინის ხელმძღვანელი მინისტრი უფლებამოსილია, მოახდინოს სახელმწიფო საწარმოების სააქციო საზოგადოებებად ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად დაფუძნება, ანუ, სხვა სიტყვებით,

მათი კომერციალიზაცია. მინისტრი წარმოადგენს ხაზინას, როგორც ერთადერთ მფლობელს დაფუძნებული კომპანიების საერთო კრებებსა და მეწილეთა სხდომებზე.

ზემოთ აღნიშნულ კანონმდებლობაში არ არსებობს სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალი, თუმცა პოლონეთის ხაზინის შემოსავლების საპრივატიზაციო პროგრამის მიხედვით, სახელმწიფო იტოვებს კონტროლის მექანიზმებს ქვეყნის ეკონომიკისათვის ისეთ სტრატეგიულ სფეროებში როგორცაა: საზღვაო პორტები, აეროპორტები, სარკინიგზო კომუნიკაციები, ელექტროენერჯის გამანაწინებელი ქსელი, გაზსადენები და ნავთობსადენები, სატელეკომუნიკაციო ქსელი.

უფრო მეტიც, პოლონეთის მინისტრთა საბჭოს 2005 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით განსაზღვრულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იმ კომპანიების ნუსხა (სულ 76 საწარმო), რომლებიც სტრატეგიული მნიშვნელობისაა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის და ეკონომიკისათვის და სახელმწიფო მათ აქცევს განსაკუთრებული ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ ინარჩუნებს რა კომპანიებში საკონტროლო პაკეტებს.

ამგვარად, წინამდებარე ანალიზში მიმოხილული ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და პოლონეთის სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების მაქსიმალურად გასხვისებისაკენ საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით, თუმცა ამავე დროს, ქვეყნები იტოვებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტებზე მმართველსა და კონტროლის მექანიზმებს.

გამოყენებული წყაროები:

ლატვიის კანონი “სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის შესახებ”
http://www.lpa.bkc.lv/lpa/lpa.php?ID=12.5&file=Likums_02EN.htm

ლატვიის კანონი “სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის დასრულებისა და საპრივატიზაციო ვაუჩერების გამოყენების შესახებ”
http://www.lpa.bkc.lv/lpa/lpa.php?ID=12.5&file=Likums_01EN.htm

ელექტრონული ენციკლოპედია “ვიკიპედია”
http://en.wikipedia.org/wiki/Lithuanian_Airlines

ლიტვის განვითარების სახელმწიფო სააგენტო
<http://www.lda.lt>

ლიტვის კანონი სახელმწიფო ქონების ფონდის შესახებ
www.lrs.lt

ლიტვის კანონი “სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის შესახებ”

<http://www.litlex.lt/Litlex/Eng/Frames/Laws/Documents/337.HTM>

ლიტვის კანონი “პირველადი პრივატიზაციის შესახებ”
<http://www.litlex.lt/Litlex/Eng/Frames/Laws/Documents/94.HTM>

ლიტვის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია
http://www3.lrs.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc_l?p_id=219184

პოლონეთის სახელმწიფო ხაზინა
www.msp.gov.pl/index_eng.php?dzial=24&id=389